

150  
130 12

ISSN 0182 — 59 ՀՅԱՆՉԵՐԻ  
ՑՈՒՑԱԿԱՐԱԳՈՎՈՐՈՒՄ



# ՅՈՒՆԵՑՆ

1  
1981

# რესპუბლიკური კომუნისტიკური მუზეუმი

ამ ყრიბობას, —  
კუთხით ის  
გენერალთა  
თაყირილობას  
დღი არ იქნებოთ  
და გზისისა  
გადასველობით.  
დღი, მებორ და მომძღვანელო,  
ხალხი, გმრკვებ და მომოქმედო,  
თევზები დღისას იარა  
ცეცხლისუკრის ეს აღმები.



# მუსიკალური სეარითველობა მუზეუმი

୧/୬ ୪୨୩ ଏହି ଶର୍ମମଣିବେଳେ ଏହା ଏହି ଦେଖିବାରେ କିମ୍ବା  
ପ୍ରତିକାଳୀନ ଶର୍ମମଣିବେଳେ ଏହା ଏହି ଦେଖିବାରେ

ଏହି ଯୁଦ୍ଧକାଳୀମାର୍ଗସା,  
ଜ୍ଞାନକାଳୀମାର୍ଗସା  
ଶର୍ମନ୍ତରୀମାର୍ଗସା ତାପୁରୀମାର୍ଗସା,  
ହିଂସା ଶାତ୍ରାମାର୍ଗସା ଅନୁଷ୍ଠାନିକାମାର୍ଗସା  
ଲୟକ୍ଷ୍ମୀମାର୍ଗସା ତଥ ସମ୍ବଲପୁରୀମାର୍ଗସା  
ଶେଖରପୁରୀମାର୍ଗସା ଗୁଣ୍ଡାରୀମାର୍ଗସା,  
ଦୁର୍ଗାମାର୍ଗସା ଶାତ୍ରାମାର୍ଗସା ମହାମହିମାର୍ଗସା  
ଦୁର୍ଲ୍ଲାପ ତୁ କ୍ଷେତ୍ରମାର୍ଗସା,  
ଦେଖାନ୍ତିରୀମାର୍ଗସା ଲୋହିତ,  
କୁଳାଲସା ଦେଖାନ୍ତିରୀମାର୍ଗସା ଗୁଣ୍ଡାରୀମାର୍ଗସା



დღეს სწორება, თქვენზე არის,  
ეს გვახარებს ოვალგიშერებს  
და ამთარსიც მზე ანაოებს,  
მზეა გულში,  
მზეა კაში.

ଜ୍ଵଳାଗାତ ଦେଖିନ୍ତି ଗୋପାଲଙ୍କର,  
କ୍ଷେତ୍ରଗାତ କଥିବିଲେ ମନ୍ଦିରାଲ୍ଲେବି,  
ଶ୍ରୀକୃତ ଥାଣ ଗାନ୍ଧାରଜ୍ଞଗୁଡ଼େବ,  
ଶ୍ରୀକୃତ ନିର୍ବିକାଳ ଦା ଶ୍ରୀକୃତ ଗମିରନାବ...  
ଦୟାରେ ଅଳ୍ପମିଳ  
ଦା ଗୁଣିଗୋଟିଏ  
ଶ୍ରୀକୃତଙ୍କାଳ ଶ୍ରୀକୃତଙ୍କାଳ

ამ ყრილობას, —  
კომუნიზმის  
მშენებელთა  
თავყრილობას.



# საქართველოს კულტურული და სპორტული მუზეუმი

13063200 ፳፻፲፭፩፯፻፯፻

და ეკიურებული აქტერებს და ლოკალურ მეცნიერებას. სრულად მარტინი გვიანდებოდა მოწიფების აქტერთა შოთა რეზისორის მიერ და მას მიერ მოწიფების აქტერთა შოთა რეზისორის გამოყენების მიერ და სურავერი გამოიყენებოდა. მაგრა 1911-1919 წლებში და 1990 წლის დასახლებაში მოწიფების აქტერთა შოთა რეზისორის გამოყენების მიერ და სურავერი გამოიყენებოდა.

ପ୍ରକାଶକ ମହିନେ ଏବଂ ବ୍ୟାପକ ପରିମାଣରେ ପରିଦର୍ଶନ କରିବାକୁ ପରିଚାରିତ କରିଛନ୍ତି। ଏହାର ଅଧିକାରୀ ପରିଦର୍ଶନ କରିବାକୁ ପରିଚାରିତ କରିଛନ୍ତି।

Digitized by srujanika@gmail.com

ს განეოთახებასთან, შრომის ნაყოფიერობის ზრდას-  
ნ. საზოგადოებრივი წარმოების ინტენსივური კიბისა  
ეფექტურობის აღალებასთან.

20-22 პრიუნიდ გვარიდან კულტურულების  
მუზეუმის მუნიციპალური მინისტრი კომისი-  
ონის მიმსახურლ.

ପାଇଁ ଏହାରୁଙ୍ଗାନ୍ତିର୍ମିଳିକର୍ମକୁ ଦୂର୍ଲ୍ଲଭ।

# ԱՐԵՎԵՐԴԻ ՏԵՍԱԿԱՆ ԽԵՆՈՎԵՐԸ

ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀଙ୍କ ପାଇଁ ଏହାର ପରିଚୟ ଦେଇଲୁ ଅବଶ୍ୟକ ନାହିଁ । କିନ୍ତୁ ଏହାର ବ୍ୟାପକ ପରିଚୟ ଦେଇଲୁ ଅବଶ୍ୟକ ନାହିଁ । ଏହାର ପରିଚୟ ଦେଇଲୁ ଅବଶ୍ୟକ ନାହିଁ ।

ଦେବ ହିନ୍ଦୁମାର୍ଗଦୀପକ, ସାଧିତ୍ତା ଅଶୋଭିନ୍ଦୀ ମହାଵିଷ୍ଣୁ-  
ରାମକ, ଶ୍ରୀନ୍ଦୀ ମହାଶ୍ରୀରାମା ରାମ ଶର୍ମା ଦୟାମା-  
ଯତ୍ତାମାରାମ. ଉତ୍ତରାଲ୍ପର୍ବତ ରାମାର୍ଥା ସା-  
ରାମା ଏବଂ ଶ୍ରୀରାମା ରାମାର୍ଥା ରାମାର୍ଥା ରାମାର୍ଥା  
ରାମା, ମହାଶ୍ରୀରାମା ସର୍ବଜ୍ଞମା ମହାଶ୍ରୀରାମା ରାମା.

ପାଇଁ କାହାରେ ନାହିଁ । ଯୁଗାନ୍ତରେ କାହାରେ ନାହିଁ । କାହାରେ ନାହିଁ । କାହାରେ ନାହିଁ ।



# „მოწინას კვირეული უყალს...“

ცეკვა აფხაზე



სკოლა ფრიდ მგრძნობიარე ცოცხალი ორგანიზმია, რომლის ავ-ჯარებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს არა მარტო საქავლო პროცესის ფონე და ხარისხი, არამედ „გარეშე“ (ურთი შეხედვით!) ფაქტურებიც — ოჯახი, ქუჩა, უბანი, რაიონი... მაგალითად, დიდი ქარხნის ახლოს მდებარე სკოლას რამდენადმე სხვა რიგის პრობლემები აწუხებს, ვიდრე იმ სკოლას, რომელიც, ვთქვთ, მსხვილი უმაღლესი საქავლებლის, ვაგზალის ან „განამოს“ სტადიონის გვერდით მდებარეობს.

ბუნებრივია, მარტო სკოლა და მისი პედაგოგიური კოლექტური ყველა შინაურსა და საგარეო პრობლემას კერ გასწვდება, კერ აუთავდება. საჭირო ხდება დახმარება „გარედან“. ეს ბუნებრივიცაა და არც სათაკილო გახლავთ — ანალი თაობის აღზრდა ხომ საერთო-სახალხო საქმეა! ამიტომაც გაძინიახა სკოლასთან თანამშრომლობის ნაირგვარი ფორმები, რომელთაგან ბევრმა გააძართლა კიდეც

იმედი და შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

ერთ-ერთი ასეთი მაღანება იყო პედაგოგიური რაზმების შექმნის იდეა.

პედაგოგიური რაზმი სხვადასხვა ასაკის. განათლებისა და პროფესიის პროვენებათაგან შეერტოლო მოხოლოდური კოლექტივია, რომელსაც საერთო მიზანი აერთიანებს — აღზრდას ყმაშვილებში საუკეთესო აღმანიური თესებები, სწორი გზით წარმართოს მათი სულიერი და ფიზიკური ენერგია. აარიდოს ქუჩის მავნე გავლენა, შეაყვაროს პატიოსანი შემოქმედებითი შრომა.



ჩვენს წინაშეა თბილისის საქართვის რაიონის პედაგოგიური რაზმი, რომელსაც მუშაობის ორი წლის გაშოცილება აქვს. მისი ზუსტი სახელწოდება გახლავთ „კომეავშირულ-პედაგოგიური რაზმი „აღმაფრენა“. იგი შექმნილია გ. დიმიტროვის სახელმისამაციო კარხნისა და 82-ე საშუალო სკოლის ბაზაზე (კომეავშირის საქალაქო კომიტეტის, საშეფო სამხედრო ნაწილის, № 11 სამუ-

სიქო სკოლის, გრიბოედოვის სახელმისამაციო მეცნიერობის, ქარხანათან ასებული სამედიცინო-სანიტარული მონაწილეობით). რაზმის შტაბში შედიან ქარხნის კომისარის კომიტეტის მდივანი ბააღურ ლორთქებანიერები, კომეავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის მეთაური, საქართველოს კომეავშირის პრემიის ლაურეატი დემურ გაზმიშეილი, ქარხნის კომეავშირის კომიტეტის წევრი, მოწინავე ზეინკალილევან თორაძე, 82-ე საშუალო სკოლის უფროსი პიონერელმძღვანელი გულნარა ხატოვეა...

რაზმი შედის სამოცდაათზე მეტი წევრი — მოწინავე კომეავშირული, სკუპ ახალგაზრდა წევრები; მთ შორის ბევრია მუშა (ზეინკალი, ხარატი, მხეთავი, მემონტაუე, შემდუღელები...), აგრეთვე ექიმი, პედაგოგი, ოფიცერი, მსახიობი...

რაზმის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი საქმიანობის სფერო თ სექტორიადა დაყოფილი: პროფორიეტაცია და შრომითი აღზრდა, სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, სპორტი, პიონერული და კომეავშირული აქტივის სწავლება, საშეფო მუშაო-

გუდამ საინტერესო და გიაზიდვების პიონერული ხაზი... ჩაძაფებულ ადალლდები და უცინართობი რაზეულის დროშის წინაშე.

ბა, მხატვრული შემოქმედება, კომკავშირის რიგებში შემსვლელთა მომზადების სექტორი...

აი, ჩვენ 82-ე საშუალო სკოლაში ვართ...

**ლევან თორაძე,** „აღმაფრენს“ შტაბის წევრი, გ. დიმიტროვის სახელმწისის სავაიციო ქარხნის კომიტეტის წევრი, მოწინავე ჩეინკალი:

— ჩვენი პედაგოგური რაზმი ძირითადად 82-ე საშუალო სკოლასთან მუშაობს... ვფქერობ, ჩვენ გადავლახეთ ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლება — ასაკობრივი ზღვარი. პიონერები, მოსწავლეები ჩვენში თანატოლებს, ოლონდ შრომაში დავაკაცებულ თანატოლებს ხედავენ; მათ იციან, რომ ჩვენთან შეიძლება საუბარი ყველაფერზე, აეზედაც და კარგზედაც. ისინი გვიზიარებენ თავიანთ სიხარულსა და მწუხარებას, წარმატებასა და გარცხს. მერე ვსხვდებით და ერთად ვმსჯელობთ, როგორ ვამრავლოთ კარგი, როგორ ვებრძოლოთ ავსა და უკეთერს. ოთხმოცდამეორე-სკოლელი პიონერები და კომიტეტის წინადან მოდიან ქარხნის კომიტეტში, ხან მუშაობაში დახმარებას გვთხოვენ, ხანაც

მოდიან ისე. უბრალოდ — სტუმრად...

**ლილია ვორობილივა,** 82-ე საშუალო სკოლის დირექტორი:

— სკოლაში საშეფო მუშაობის არგი ტრადიცია არსებობს და ამ შემთხვევაში პედაგოგიურ რაზმის მუშაობის ნიადაგი დახვდა. მარტო ერთ მაგალითს დაგისახელებთ: ჩვენმა კურსადამთავრებულმა, ექიმმა მიხეილ საჯაროება (რომელიც ამავე დროს მუშაობის სამსახურშიცაა — კალათბურთელი) ამ რამდენიმე წლის წინათ თვეოთონ მთავრითა სკოლას. მისამ მაშინდელი მოსამაღალებელი ჯგუფის ხელმძღვანელობა იქისრა და აი, მეტეთ წელი მისი ცხოვრებით ცხოვრობს, მასთან ერთად „გადაღისაულასიდან კლასში, დაჰყავს ბავშვები (კლასის ხელმძღვანელობან ერთად) სპორტულ შეჯიბრებებზე, ექსკურსიებზე, მუშეულებში...

**გულნარა ხატუევა,** 82-ე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი:

— პედაგოგიური რაზმი დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენს მუშაობას. ქარხნის კომიტეტში მომავალის კომიტეტში ხშირად ტარდება სემინარები ჩვენი სკოლის კომკავშირული და პიონერული აქტივის მონაწილეობით, ასეთივე სანის გასვლითი სემინარი ჩატარდა გავაში გასული წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მოვისმინეთ შოსხენებები: „პედაგოგიური რაზმი და სკოლის პიონერულ რაზმთა ხელმძღვანელები“, „კომკავშირული პიონერების წინადან კომიტეტში გადავიდე კლასში გადაეჭირ, რომ ჩვენთან თარა გაოშევალი მოვადა, ქარხნის მოწინავე მუშა.

უკეტორები“, „იდეოლოგიური სექტორის მუშაობა“...

პედაგოგიური რაზმი ხშირად არის შრომის მოწინავებთან შეხვედრის ინიციატორი და ორგანიზატორი. ავით რაზმშიც ხომ ბევრია სახელოვანი მუშავაცი: დემურ მაზმიშვილი, ოთარ გაოშევილი, ამირან ხაბულიანი, ქორქეს ანგაფარიძე... მათთან ყოველი შეხვედრა სასარგებლო და შეუისასწავლია...

**თამარ მელიქიშვილი,** 82-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე:

— ჩვენი საწარმოო ხელმძღვანელი დემურ მაზმაშვილია. ჩვენ ძალიან გვიყვას და დიდ პატრიც ვცემთ მას. დემურ ხელმძღვანელმა დავკილოცა იქტომბრელობაც და პიონერული მუშაობის გზაც. იგი პირველი კლასიდან არის ჩვენთან... ჩვენთანა ყოველთვის: სასკოლო ლონგბონებებზე, ზემდებაც, ექსკურსიებზე...

**ლევან თორაძე:**

— 82-ე საშუალო სკოლაში 14 პიონერული რაზმია, თითოეულ რაზმის თავისი საწარმოო ხელმძღვანელი ჰყავს.

**დარეჯან ლაცაბიძე,** X კლასის მოსწავლე:

— ის იყო, მეშვიდე კლასში გადაეჭირ, რომ ჩვენთან თარა გაოშევალი მოვადა, ქარხნის მოწინავე მუშა.



კომპანიონულ-  
ახალგაზრდული  
გრიბადის  
ხათაური  
დევზი  
მაჟობაზილი  
ამ  
გოგოვებთან  
და  
გივი გადადისა  
„გადადისა“  
კლასიდან კლასი.

გამოვტყოდები. არცთუ გამოსაჩენი კლასი ვაჟავოთ, მანიცუდამიანც ვერც წრავლით დავატრაბაქებულით და ვერც დისციპლინით. ოთარ ზელმიძვანელი ძალზე შინაურულად. მეგობრულად მოგვიდგა, თითქოს სულში ჩახედა თითოეულ ჩვენგანს. თანარათან გადმოგვედო მისი აჯამიანური სითბო, შრომის სიყვარული. პატიოსნება...

**ინგა რომაშვილი.** IX კლასის მოსწავლე:

— სკოლის კომკავშირელებისა და პიონერების დიდი მოწონება დარწმუნა პროფესიის დაცულს” დღემ, რომელიც პედაგოგური რაზმის შტაბმა მოაწყო. ქარხნის მოწინავე შუშებმა — ზეინქლებმა, ხარატებმა, მემნიჭებმა და სხვებმა მოსწავლების გაცენეს თავიანთი სეცეილობის ღირსებები, თვალინათლივ დაუხატეს მისი დიდი მნიშვნელობა... ძალზე ეფექტური შეხვედრა გამოვდა.

**ლიდია ვორობილია:**

— პედაგოგური რაზმის ინიციატივით ეწყობა ინტერნაციონალური სალამიები. ყოველი სალამი საინტერ-

**ნანა ბერიშვილიშვილი, IV კლასის მოსწავლე:**

— ჩვენი საწარმოო ხელმძღვანელები უყურადღებოდ არც ართადგების უროს გვტოვებენ. ამ ცოტა ზინათ. მავალითაუ. ქარხნის კლუბში ჩატარდა მულტიპლიკაციური ფილმების ფესტივალის დღეებში პლატფორმისაგან ცერტავდით იმ პერსონაჟებს. რომლებიც ყველაზე უფრო შეგვივარდა. ბოლოს კლუბში მოაწყეს ჩვენი ნამუშევრების გამოფენა. იგი ყველა ძალიან მოეწონა.

**გულნარა ხატოვა:**

— ერთი ისტორია უნდა გიამბოთ. მეშვიდე კრასში ძნელად აღსაჩრდებოდა წატერი გვყავლა. ვაჟა ბერტონშვილი. შემაბლები გაყრალები იყვნენ და ბავშვი ფაქტურად უყურადღებოდ უარჩა. ეს ამბავი ითარ ჯაშმილის ყურამდე მივიდა. ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება, როგორ მოუნახა ითარმა გულის გასაღები ამ უკარება ყმაწველს, რომელიც ის იყო, თათ-

ლები ჩვენთან ერთად მოაწყილებულ ამერიკულ სტარტულშია. ჩვენთან ერთად დადგინდნენ პიონერულ ღონისძიებებში, ვმართავთ ერთობლივ ტერინირების სხვადასხვა სახეობაში... საერთოდ, ჩვენს სკოლის კარგი სპორტული ტრადიციები აქვთ. აქ აღიზარდენენ ფეხბურთულები ვაჟა უვანია და რობერტ ბუნტურა... მოფარივავე ვალიუ ფარადაშვილმა სკოლის დამთავრების შემჯეგ ფაზულტურის ინსტრუმენტში განავრმო სწავლა. ახლა ჩვენს სკოლაში ნორჩ მოფარივავების წვრთნის.

**გალინა აგაგანიანი, X კლასის მოსწავლე:**

— პედაგოგური ზაზმის თაოსნობით და უშემცილენობით გაეციდა და სკოლის ეზოში დაიდგა გმირი პიონერის. პატელი მომზომვის ძალი მეგლი (ჩვენი რაზმეული მისი სახელობისა). ტეგლი თათვების მოთავსებულია. გარტო კვარცხლბეკის მოსპარეთებელი ქვალა გვაყილია. ჩვენი შეფერა ალბათ აქაც მოგვეხმარებიან და იმ დიდი ხნის ნანატრ ქვასაც გვიშვილიან.

**გულნარა ხატოვა:**

— პედაგოგური ზაზმის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მხარე სახელო-პატრიოტული სექტორია. უფროსი მეგაბრები გვატარებენ საუბრებს. გვიჩვენებენ ფილმებს, გვასტავლიან მიზანში სროლას. ერთად ემანშილებთ სამხედრო თამაშობებში, სასწავლო ლაშქრობებში...

**ლევან თორაძე:**

— ერთი სატყვათ. კვეშაობით, მაგრამ გაეთებულით არც წევნ კვმაყოფილდებით და არც 82-ე სკოლის პიონერებით და კომკავშირელებით. არც ერთ ჩვენთაგანს ეჭირა ებარება. რომ შემდეგ და შემდეგ კიდევ უფრო ბევრ სასარგებლო საქმეს გავაკეთებთ. მეტ სიხარულს მოვურან ერთობანებს — ურთეერთობის, ერთობლივ შემოქმედების, მოზრას მიღწევის სიხარულს. ამის საწინარიგი ის, რომ ჩვენ — პედაგოგური რაზმის წევრები და ჩვენი ნორჩი. მეგობრები — ვეზობით ერთმანეთს. გვესმის ერთმანეთისა, მოგვწონს და გვიყვარს ერთმანეთი...



\* თვალებში ერთობა: პარგი ერისაძე დაზგვა მს გივი!

სო და მრავალფროვანი გამოლის, ეს არც არის გასაევრი. გერ ერთი, ქარხნის მუშათა კოლექტივი ფრიად ინტერნაციონალურია: იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს სკოლაზეც, სადაც მხარდამხარ სწავლობენ და იზრდებიან ქართველი და რუსი, აზერბაიჯანელი და სომები, ბერძენი და ოსი. ასრიელი და მოლდაველი. თათარი და იგზიდა, ქურთი და ებრაელი ბავშვები...


შემის ჩატრია ქუჩამ. ხელმძღვანელი მიხვდა, რომ ვაჟა იჯაზურმა ტრაველიამ გააბორონტა. თორემ ისე ალალი, კეთილი და ნაჭირი ბიჭია... ითარს გაუმართოა ზრუნვამ: ვაჟა ახლა 71-ე პროფესიულურ სასწავლებელში სწავლობს, კარგადაც იქცევა და ბეჭითადაც შეცაიდნებს. ყველაფრით ჩანს, რომ კაცური ეკაც დალგება.

**ლენა დენეკა, X კლასის მოსწავლე:**

— ჩვენი საწარმოო ხელმძღვანე-

ლები ჩვენთან ერთად მოაწყილებულ ამერიკულ სტარტულშია. ჩვენთან ერთად დადგინდნენ პიონერულ ღონისძიებებში, ვმართავთ ერთობლივ ტერინირების სხვადასხვა სახეობაში... საერთოდ, ჩვენს სკოლის კარგი სპორტული ტრადიციები აქვთ. აქ აღიზარდენენ ფეხბურთულები ვაჟა უვანია და რობერტ ბუნტურა... მოფარივავე ვალიუ ფარადაშვილმა სკოლის დამთავრების შემჯეგ ფაზულტურის ინსტრუმენტში განავრმო სწავლა. ახლა ჩვენს სკოლაში ნორჩ მოფარივავების წვრთნის.

# საბურძო



მზე ჩანაპერნელდა  
ფანტელების ღია თვალებში,  
გაგვითოვლდაო, გადიდთოვლდა,  
ეჟეი, ბავშვებო!  
კვლავ ჩამოვაძათ ორლობებში  
ყინვის ზარები  
და ახალი წლის პირველი დღე  
ცისკარს ვაჩვენოთ.  
თოვლმა იტირა  
თოვლის პაპის ნატერფალებში,  
ხელი ჩამოვერათ კალათაძა  
— სიტყბომ იბედოს,  
მამულის ლხერა, აყვავება.  
მოყმის სიკეთე,  
მზიანი გული  
დაგვეძედოს და გვეიმედოს...  
მეჯვლე მობრძანდა!



მუკვლე მოდის სხივთა თოვითა,  
სვანი მთას ლოცავს.  
კოლხი — მიწას  
ორივ — მზისხივეთს,  
გაირისებას ადლეგრძელებს  
სალამისას, —  
ცერზე დაიცლის  
ყანნს ხევსური  
და ვერ იტირებს...  
აცრემლებია თოვლის ფიცქით  
ჭიუს თვალები, —  
თოვლი მოსულა, გადიდთოვლდა,  
ეჟეი, ბავშვებო!  
კვლავ ჩამოვაძათ ორლობებში  
ყინვის ზარები  
და ახალი წლის პირველი დღე  
ცისკარს ვაჩვენოთ.

ს ი რ ა ჟ ი რ ი ს ი ვ ე ბ ი ლ ი

# ზუღა ცუბზი

შენ ხატავ მთვარეს,  
ჩახჩახა მზეს,  
გადახნულ მიწას,  
ხატავ პეპლას,  
ნვიმის წვეთსაც,  
მამულს რომ გირწყავს;  
ეძებ, გჭირდება  
უსახელო, უცნობი ფერიც,  
რომ გვაგრძნობინო

რაზე სწუხარ,  
ან რაზე მღერი,  
გვითხრა, რომ გიყვარს  
შენი ქვეყნის  
დილა და მწუხრი,  
ცხელი ზაფხული,  
შემოდგომა — სავსე და უხვი,

ან გაზაფხული — მოლივლივი  
მინდონ-სერებით,  
თეთრი ზამთარი —  
ტარბუქებით და ნამქერებით.  
ეძებ და ეძებ,  
სულ გჭირდება ფერთა ფერები,  
ეძებ ჯიუტი, ეძებ ურჩი,  
დაუჯერები...  
და ჯადო ფუნჯით  
იხატება ცისარტყყლები..

ციხე-ტაძრებთან  
ლოდები ყრია.  
აქ გლეხეცაცს  
მტერი აუკაფია...  
ციხე-ტაძრებთან  
ლოდები ყრია,  
ზედ კი არ მოჩანს  
ეპიტაფია.  
გაქრა საფლავი  
შემოსანახი,  
ბუბუნებს მიწა —  
ძვალთ შესალაგი.  
ყური დაუგდეთ,  
ლალანებს ხავსი,  
ფეოქავს ბალახი:  
— რაც რამ სიკეთე  
ევეყნად მეწადა,  
ევითკირითა და

# ბერეული უზაფრივი

ოფლით შევკარი,  
ასე აგიგე  
ათი ქვაციხე,  
ასე დავკიდე  
ზეცას ზეკარი.  
უქალამზებომ

მუხლით გზა ვცვითე,  
და არ ჩავაქრე  
შენი სანთელი —  
სვეტიცხოველი,  
სამცხე, სამშვილდე,  
რომ არ გენახა



მტრისგან ნათელი.  
მომიგონებდე  
შენს ძევლ წინაპარს,  
ევეყნის ტრფიალში  
შენთან წილზაყარს,  
ვისაც ჩონგური,  
ქართული ზვარი,  
ქართული წიგნი  
შემომინახავს.  
ეს მე დავეცი  
მომხდურს თავზარი,  
ლოდიც დავადე  
უზარმაზარი.  
ლოდს მივაბარე  
ჩემი ბედიცა...  
რომ შენ გეხილა  
მტრედისფერი ცა,  
სამშობლო შენი!..

# იქანიებ, ეცვანი!

ჯერ აკადემიუმ!

## არძაშ ჩაჩინი

შპატვარი ედუარდ ავალიაძე

### პ რ ო ლ ო გ ი

გუშინ თელავიდან დავბრუნდი. ზუსტად ათი დღე დავეხეტებოდი დეველ პიონერთა ხაბილიკაზე. როგორც მინდვრის ყვავილებს — გაზაფხულზე რომ გადაბიბინდება კორდებზე, ისე ვაგროვებდი აწ დავიწყებულს, წარსულში ქმნილ სამაყო საქმეებს. როგორც მინდვრის ყვავილებისაგან შეყრულ თაიგულს, მინდა ამ წიგნსაც მრავალმხრივი სურნელი ქვენდეს.

დღეს აი, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ერთ-ერთ ოთახში ვარ და ვაკეირდები, როგორ შემოღიან ამ ოთახში უკვე ხანში შესული, დალლილი ადამიანები — ზოგი ხელგონს დაყრდნობილი, ზოგიც წელგამართული. ვსწდებით გრძელ მაგიდასთან, იწყება წარსულის გახსენება. დალლილ სახეებზე კულაც ჭველებური შუქი ინთება. ჩვენ ყველანი ერთად ათეული წლებით ვახევთ უკან, ვიცვამთ. მოკლე შარვალს, ვიჟეთებთ წათელ ყელსან-ვეგს და ფეხაკრეფით, მორიცებით ვძრუნდებით წარსულში. ფეხაკრეფით იმიტომ, რომ ძილი არ დავუფრთხოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს გვერდით მოაბიჯებდნენ, შრომობდნენ, ხარობდნენ, წუხდნენ... მერე ერთბაშად კიბის სათვეური ჩაუტყდათ და ჩვენს თვალწინ სადღაც გაუჩინარდნენ. გულში დაგვიტოვეს ცარიელი ადგილი, რომელსაც ვერა-სოდეს, ვერასოდეს ვერავინ სხვა ვერ დაიკვებს.

მაშ, გაუმარჯოს მათ წმინდა სახელს! მარადის ვიგონებდეთ მათ.

ვზივარ იმ ადამიანთა გვერდით, რომლებმაც სათავე გაუჭრეს პიონერულ მოძრაობას საქართველოში. მაღლობა ღმერთს, ისინი ბლომაც

შემოვვერჩენ. სიცოცხლე და პატივი მათ! გრძელ მსაგრძასთან აშრიალებენ ყვითელ ფურცლებს, ჩემს წინაშე აცოცხლებენ წარსულს გიორგი გიგაური, პოლკოვნიკის ჩინით რომ გავიდა ქესნაზე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი დარისპანაშვილი, პოლკოვნაური შემა მენთეშაშვილი, ტიგრან ბეჟანოვი — პენსიონერი, ანა ზეგტეკი, უვენია მიქაე, ანდრო კაპანაძე, მიხეილ შანიძე, არტაშეს ქელეუმანი და სხვანი და სხვანი. იწერება ახალი წიგნის პირველი თავი... უურში ჩამესმის მოახიანი ხმა: — პიონერებო, მოეწყვეთ ხაზზე! სწორება!

მეც მინდა გავიმორო ეს ბრძანება: პიონერებო, სმენა იყოს და გაგონება! გადავუფრცლოთ მოთხოვნებში გადატანილი თქვენი ორგანიზაციის მატიანე. მიგდებთ ყურს? მაშ, დავიწყოთ.

### ამბავი პირველი

მოდი, ამ თავს „დაბადება“ დავარჩვათ.

იმ დღესაც შეეჯინენ ერთმანეთს სკაუტების ორი რაზმის — „ნაცრისფერი მგლის“ და „ოქროს შროშანას“ წევრები. ჩესტი მოხდა შუა ქუჩაში. ერთ მხარეს — ძელი, ერთ-სართულიანი სახლების გასწრებივ — „ნაცრისფერი მგლები“ იჯგნენ, მეორე მხარეს — „ოქროს შროშანას“ დაგეშილი ბიჭები. თავიანთი რაზმის ფორმები ეცვათ, სპეციალური ემბლემებითა და გემბლემებით მათ და წიგნის წინ მთელი ქვაფენილი მოაწმენდინეს. ეს კიდევ არაფერი, ცხვირ-ვირიც დიდებულად შეულამაზეს. ტაშტი გატყდა, ხმა გავარდა. არც ეს ამბავი ღარჩენილა გაუზმაურებელი. ვილაც ლაწირავა ჩურჩხელასავით ამოვლებულ ბიჭებში რალაც სასწაულით „ოქროს შროშანელები“ ამოიცო. ერთი ფეხი რომ ხუდაოვის ქუჩაშე დაჭრა, მეორე სწორებ „ოქროს შროშანელთა“ შტაბის წინ დადგა. კარი სწრაფად შეაღო, სული მოითქვა და მთელი ხმით დაიყვარა:

— ხალხნო, თქვენ აქ ორძელზე დახტისართ, იქ კიდევა „ნაცრისფერი მა მგლებმა“ თქვენი ღვიძლი ძები რაჭირებს და ცხვირ-პირი დაუნაყეს.

იხუვლეს „ოქროს შროშანელებმა“, იხუვლეს და კარს ეცნენ. ვისაც რა მოხვდა ხელში, ყველაფერი აიტაცა. ზოგმა საფრაგიშო ჭოხები, ზოგმა რაპირი, ცარიელი ბოთლი, რკინის ნატები და ათასი რამ. ის კი არა და,

ერთი გეელი გასაშლელ კარავსაც კი  
მიათოვედა...

ქუჩას რომ ორივე მხრიდან ბიჭე-  
ბის ჯერ მოაწეა, ძია პეტრ მაშინვე  
მიხვდა, ქარი საიდანაც უნდა ამოვარ-  
ჯნილოყო. შემოღვიმა გახლდათ და.  
მოგვისენებათ, თუ რა სუსხანია  
გვიანი შემოღვიმის ქარი. ძია პეტოშ  
კარგა მოიფიქსა და მაშინვე საკი-  
რო პროფილი ქერისური ლონისმიერაც  
ჩატარა — მეორე სართულზე ავადა  
და მითხურდებს გარე ინდი-სამი ვე-  
დრო ყინულივოთ ცივი წყალი გადა-  
სხა თავზე. ეს ოქრიაცა სხვა ზროს  
(უფრო ზაფხულის პირობებში) შეიძ-  
ლება უხიფათოდაც დამთვრებული-  
ყო. მაგრამ ახლა, ამ სიცევეში  
„მგლებს“ ცივი წყალი არ ესიამვი-  
ნათ და თვალისებრამახმებაში ძია  
პეტოს საცხოვრებელი ბინის ყველა  
მინა ჩალენეს. მერე ზედ ქუჩაში და-  
ლაგებულ გობებს მისდგნენ და, რაც  
იქ ამბავი დატრიალდა. არასოდეს არ  
დაუკუშებათ ძია პეტოს ერთობ  
თვიზე და კეთილ მეზობლებს. პირ-  
დაპირ მეორედ მოსვლა იყო. არავის  
არ გაუკირდება საზამთრო ქუჩის  
ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გა-  
კოტრიალებული რომ იხილოს, მაგ-  
რამ საოცარი ის იყო, როგორ მოხვდა  
საქონლის შიგნეულით დაძებილი  
კუატები ელექტრონის ბიძეზე, ნივ-  
რის მწინილი საგსე გობა კაცებიას  
კრიალა ეტლში, ორი აცამა ხახვი და  
უნაბი მენახშირ სიკოს სახლის სა-  
ხურივზე და ძია პეტოს ახალთახალი  
პრაქტიკი იმავე ხელს სახედრის კეხზე...

ერთი სიტყვით, სეუტების რაზე-  
ბი ერთამანეთს დარივნებს და ცოდვა-  
მადლის გამითხველი კაციშვილი არ  
იყო. მერე ვიღაცმ იმარჯვა და მაღა-  
ცისაცნ მოქუსლა. სეუტების როი  
რაზმას შეგახების ეპიცენტრიდან მი-  
ლიციამდე ერთი სამყვრო გზა იყო.  
წარმოიდგინეთ, ან ის ყოჩალი მარა-  
თონელი, მხოლოდ და მხოლოდ სა-  
უთარი ფეხების იმედით რომ გაი-  
ძეცა მილიცაში, როდის მიაღწევდა  
დანიშნულების პუნქტამდე, ან იქ-  
დან გამოქცეული ხალხი როდის მო-  
აღწევდა ჩხუბის ეპიცენტრიდან. ასე  
იყო თუ ისე, მილიცა რომ ძია პეტოს  
დუქანთან გამოტანადა, წარლვნა უ-  
ცვ გადავლილი იყო. თავად ძია პეტო  
დუქნის წინ ეგვივ და ძლიერ სუნთქვა-  
ვდა. ცოლი და შვილები დასტრია-  
ლებდენ. თავს. მენახშირ სიკოს  
გაცოდებული ვირი შეა ქუჩაში დახ-  
ტოდა, ყროყინებდა, მაგრამ ძია პე-  
ტოს ცანცალ პრეცეს კენაცნ მას-  
ცერ იშორებდა. სკაუტები? სკაუტები  
უკვე ალარ ჩანდნენ. მათ კარგად იყ-  
ინს, რაც ამ დებოში მოჰყვებოდა,  
და მოკურცხლეს. ხალხს მაინცდაშე-  
ინც არ გაკვირვება ასეთი აყალმა-

ყალი. ათას ცხრას ოცდაორი წლის  
შიწურული გახლდათ. ბევრი რომ იყო  
გადასაჭრელი და დასალაგებელი, კე-  
რძოდ, ბავშვთა ოზრიდის საქმითი,  
ზომელუც ჯერჯერობით „შევარდე-  
ნისა“ და სკაუტების რაზმების ხელ-  
მძღვანელობის ქვეშ იყო. სკაუტების  
საზმები ერთმანეთში ერ რაგდებო-  
ლენენ. სადაც წაეწეოდნენ, არც ავ  
სატყვას იშურებდნენ და არც კარ-  
გად შეკრულ მუშტს. მვეყანა ღულ-  
და, როგორც მაჭარი და ცხოვრებაც  
დალვ-ნებას ელოდა.

საქართველოს კომისარის ცენტ-  
რალურ კომიტეტში თათბირი მიმდი-  
ნარებზუ. სექტემბერი იღვა. 1922  
წლის სექტემბერი. იმ წელს რატომ-  
დაც ნააზრებად აცივდა. ტოტებაყ-  
რილ ხევებს. ქუჩას ირთავ მხარეს  
ლამაზ ხევანს რომ ქმნავნენ, ფოთ-  
ლები შეუყვითლდათ. დროდადო  
ჩრდილოების ცივი ქარიც უბერავდა  
და სექტემბერი სექტემბერს არ ჰგა-  
ვდა.

ვრცელ თოახში კომისარის ცენტ-  
რალური კომიტეტის მჭიდანი ბორის  
ძნელავე გრძელი მაგიდის თავში  
იჯდა. თუმცა ასაკით ჯერ მოლად  
კაბუკა იყო. მაგრამ, რომ შეხედავ-  
დით, იტყოდით, ამ კაცმა ძვეყანაზე  
სულ ცოტა თრომოცა წელი მაინც იც-  
ხოვთან. დალლილი, ავადმყოფური  
სახე ჰქონდა. ცხვირის ექზე ვერც-  
ხლისფერჩარისანი სათვალე ადგა. მინის მიღმიდან ფოსოებში ლრმად  
წასული ფეხები თვალები მოუჩა-  
ნდა. ბორისი თითქმის არასრიოს არ  
იღიმებოდა. მარმე სენა და უძილო  
ღმმები თავის დაღს ასვამდნენ.

ახლაც ღამე იყო. საათის ისრები  
არს უახლოედებოდა. თათბირი თერ-  
თმეტ საათზე დაიწყო და ჯერ კიდევ  
გრძელდებოდა. ცენტრალური კომი-  
ტეტი იხილავსა რესპუბლიკაში ბავ-  
შვთა აღზრდის მდგომარეობას. ბევ-  
რი გამოვადა სიტყვით, მრავალი წი-  
ნაგავება შემოიტანეს. ბორისი კუ-  
რადლებით უსმენდა მათ და საქმიან  
წინაღალებებს ინიშნავდა. ყველაშ  
რომ მოათავა თავთავების საჭმელი.  
ბორისი წამოდგა, ქალალდზე გადა-  
ტანილი შენიშვნები ჩათვალიერა და  
ძერე გრძელი მაგრაზი ირგვლივ ჩა-  
მომსხდარ ახალგაზრდებს გათხედა.

— მაშ, ასე, სკაუტების რაზმებმა  
თავისი თავი აძოშვილეს. არამოცუ  
ამოწურეს. და დაბრკოლებადაც იქ-  
ცნენ ბავშვთა ოზრიდის საქმეში.  
„შევარდენჯეც“ თოქმის რგოვე იოქ-  
მის. ჩენ კი მძლავრი და სალი როგო-  
რიაცა გვესაჭროება, რომელიც სა-  
იავეში ჩაუდგება ბავშვთა ოზრდას  
საქართველოში. ასეთი ორგანიზაცია

დღეს არა გვიქეს, მაგრამ ცხოვრება  
მდენად მყარად და მტკიცებულ თხოუ-  
ლობს მის შექმნას. რომ იგი ხეალ  
უკეცელად უნდა გვექნეს. ბავშვებმა  
უნდა გაიგონ სიმართლე დიდი რევო-  
ლუციისა, ისინი ამთავითვე უნდა მო-  
კამადოთ იმისათვის, რომ ისწავლონ  
ახალ ქვეყნის მართვა. ეს ჩენი გა-  
და უდებელი ამოცანაა. არის წინადა-  
დება, ბავშვთა ამ ახალ ორგანიზაციის  
„სპარტაკი“ ეწოდოს. დღეიდან  
ჩველა სეუტე და „შევარდენი“ უქმ-  
დება. ბაზები და ინვენტარი „სპარ-  
ტაკს“ გაჯეოცემა. ბავშვთა კოლექტი-  
უების ხელმძღვანელები ხვალიდანვე  
შეუდგებიან საქმეს. უახლოეს მომა-  
ვალში „სპარტაკა“ მთლიანად უნდა  
აიღოს თავის ხელში ბავშვთა აღზრ-  
დის საქმე.

საქართველოს ახალგაზრდობის  
ლიდერი გაჩუმდა და დალლილი მზე-  
რი გრძელი მაგიდის ირგვლივ შემო-  
ტარა.

იმ დღესაც ცრიდა და გვარიანი ქა-  
რიც უბერავდა. გიორგი უკენაძემ. ანდრო ბასეგვემა, ანჯორ კაპანაძემ. ან ზენტექმა, უენია მიქაიებ და კადევ  
რამდენიმე სპარტაკელმა აქტივისტმა  
უწირო ქუჩა გადაჭრეს და „ოქროს  
შემოშანას“ სავარჯიშო ბაზას მიაღ-  
დნენ.

სალამ იყო, ექვსი-შვერი საათი  
იქნებოდა. სპარტაკელებმა კარგად  
იცოდნენ. რომ. ჩვეულებრივ. ამ  
ჯროს სკაუტები თვეანთ სპარტულ  
ბაზებში ვაჯიშობდნენ. იცავი  
წელს თბილისში სკაუტების რამდე-  
ნიმე ასზმი ასუბობდა. ისინი ფაქ-  
ტურად წვრილბურჟულის წისქ-  
ვილზე ასხამდნენ წყალს და არაფერ  
საერთო საერთოსაც სავარჯიშო ბაზას მიაღ-  
დნენ.

სალამ იყო, ექვსი-შვერი საათი  
იქნებოდა. სპარტაკელებმა კარგად  
იცოდნენ. რომ. ჩვეულებრივ. ამ  
ჯროს სკაუტები თვეანთ სპარტულ  
ბაზებში ვაჯიშობდნენ. იცავი  
წელს თბილისში სკაუტების რამდე-  
ნიმე ასზმი ასუბობდა. ისინი ფაქ-  
ტურად წვრილბურჟულის წისქ-  
ვილზე ასხამდნენ წყალს და არაფერ  
საერთო საერთოსაც სავარჯიშო ბაზას მიაღ-  
დნენ.

— რა გნებავთ?  
გიორგი კაპანაძემ ჯერულ შეხედა.  
— ჩენ სპარტაკელები ვართ.  
იქვენ აღმართ უკავე გამოგაცხადება,  
რომ სკაუტების რაზმები დაშლილია;  
ბაზა და ინუნტარი ჩენ გამომოგვე-  
ცა. შევქოჩინანმა ბიჭები მაშინვე არ

უპასუხა. გერ კარგად ათვალ-ჩათვალიერა უცხო სტუმრები და შეღლოდ მეტე ამოლერლა. თანაც ძლივ-სტლივიბით, უცხაუზი მანქვრა და გრეხეოთ:

— აჲ, ეს თქვენა ბრძანდებით? ჯახა, ჩეენ უკვე გვითხრუს. გერ კომუნისტულება უკვენ. მილიციადანაც მოვიწუნენ და გაგვაფრთხილეს. საინტერესოა, რად გინდათ ბაზა და სპორტული ინკუნტარი? თქვენ ხომ ხალხი არა გყავთ და არც გეყოლებათ. რაც შეეხება ხუთ-ექს კაცს. ყოველთვის შეგიძლიათ მობრძანდეთ და ივარგიშოთ. ჩეენ ძალიან სტუმრთმოყვარენი ვართ. მგონი საერთო ენას ვიბოვით. ეს საქმე არ გაგვიჭიოდება.

ახლა ანდრო ბარსეგოვი წამოლგა წინ.

— იცით რა გათხრათ. მობილო. ჩეენ სამოწყალო არავეონი გვჭირო. ბაზაც ჩეენია ზა ინკუნტარიც. რაც შეეხება ხალხი — ხალხაც ჩეენია. მოვრჩით? სად არან თქვენი უფროსები, ინკუნტარი და ბაზა უნდა ჩა-ეგბაროთ.

შავქოჩირა მასპინძელი აირია.

— მობრძანდით. ყველანი აქ არიან. ზარბაზში შესული სპარტაკელებ-გაოუნენ. ეგონათ, ვარგშიში გართულ გოგო-ბიჭებს იზილავანენ, სანამ ჯვილეში კი არავინაც არ ვარგიშობდა. იციოდე სკაუტი დარბაზის ცენტრში შეკრებილიყო და რაღაცაზე ძალზე ხმადაბლა საუბრობდა. ანდრო ბარსეგოვა ჩახველა, მეტე კა მოელი ხმით დაიძახა:

— აი, ჩეენც მოვედოთ, უკვე აქა ვართ.

ის იციოდე სკაუტი სწრაფად შემობრუნდა. წინ ორი, უკვე ულვა-შაყრილი ახალგაზრდა წამოვიდა.

— ალბათ სპარტაკელები მობრძანდით, არა? — დაიძახა ერთმა ქერა-თმიანმა.

— დაახ, ჩეენ ვართ, — მოუგო ანდრო კავანაძემ.

ქერათმიანმა გაულიმა:

— ჩეენც აქა ვართ, დაივიწყოთ კამათი.

ახლა გორგი კინაძე წაუგა წინ.

— ივართასებო. საკამათოდა სტულებითაც არ მოვსულვართ. ზემდგომი ორგანოებს გადაწყვეტილებით, საქართველოში საუტების კველი ჯგუფი და „შევარდნენ“ დაშლილია. ბაზები და ინკუნტარი ჩეენ გადმოგვეცა — „სპარტაკს“. გასაებია?

— ეგ ვაცით. რამჯენერ უნდა გაგვიმეოროთ? — დაიძახა ქერათმიანმა.

— ახლა იმისთვის მოვედით, რომ საქმეს პრაქტიკულად შეუცველეთ, უკველაფერი უნდა ჩავიგაროთ. ყო-



ელგვარი აყალმაყალი და წინააღმდეგობა უაზრო.

— არც ვაპირებთ, — დაიძახა მეორე ყმაწვილმა — შავგვრემანმა, ქერათმიანის გვერდით რომ იდგა. — ერთი რამ გვინდა გადაწყვითო, ინსტრუქტორებს რას უპირებოთ?

— ყველა ინსტრუქტორს, რომელიც ისურებს „სპარტაკთან“ თანამშრომლობას და მიიღებს ჩეენს პრო-

გრამას — გამოვიყენებთ, — უპასუხა გიორგი კინაძემ.

— ნამდვილად ასე იქნება? — იკოთხა ისევ იმ შავგვრემანმა.

— რასავიველია, ასე იქნება. — უპასუხა კვლავ კინაძემ. — ჩეენ ისე გაჭირდება გამოცდილი ინსტრუქტორები, როგორც ჰაერი.

სწორედ ამ დროს დარბაზის კარი ფართოდ გაიღო და ზღურბლზე ორი

ახალწერულვაშაკრილი ახალგაზრდა გამოჩენდა. მაღლები იყვნენ. კოტა. კარგად ნავარისტევი ტანი ჰქონდათ. ქართული ხალათები ეცვათ. შემოვიდნენ ის ახალგაზრდები და პირდაპირ კართან დადგნენ. სიჩუმე ჩამოწევა, სკაუტებიც და სპარტაკებიც ეჭვით ახალერებდნენ ახალმოსულებს. მერე ანგრი ბარსეგოვაძე იძოვა, დონიხი შემოიწყო და ამ მრავალთულხალათიან ახალგაზრდას ცერად გახედა.

— თქვენ რა, ამათ რაზმში ხართ?

— აა. — ბრაზიანად მიუვი იმან. ოლნაც ხვეული. წაბლისფერი თბარომ ჰქონდა.

— მაში, სერის საყურებლად მობრანდით? ჩეენ ხომ მოსაწვევი ბარათი არ გმოგვიგზავნია!

— მოსაწვევი ბარათი არ გვჭირება. ჩეენ „შევარდნილან“ ვაოთ.

— აა, „შევარდნილან!“ საინტერესო! — გავრდელა ბარსეგოვაძე.

— დიახ, „შევარდნილან“. ტანვარიშის ინსტრუქტორები ვართ. მე გოგი ეგნატაშვილი გახლავათ, ესეც კიდევ ჩემი მეგობარი უორჯა გორგატა. გვინდა თქვენთან ვიმუშაოთ ინსტრუქტორებად. თუ მიგვიღებთ.

— ეგნატაშვილი ეს არ გაუგრა. დაიძახ გოგი კიქნავებ. — თქვენ მოგრებთ!

ბარსეგოვაძე გაიცინა:

— ჩიხებულა, სპარტას ისეთი სკულიალისტი, როგორიც გოგი ეგნატაშვილია. ჩეენთან თავზე ფეხით მოდის.

— ჩეენც ვიმუშავებთ თქვენთან. თუ ხელს შეგვიწყობთ, მთელი მონაბეჭით ვიმუშავებთ. მოგვცეზრდა სკაუტების სისულელების ყურება. ბოლოს და ბოლოს, გვინდა ეთილი საქმეები ვაკეთოთ, — დაიძახ ქრა-თმისამა.

— ჰოდა, თქვენც ჩეეწერეთ ჩეენთან. აა, რვეული და ფანქარი ხომ წამოიღე: ჩაშერე ესენი! — უთხრა ანა ზენტექს ბარსეგოვაძე.

ანა ზენტექს ჩიბილან სქელი რვეული ამოილო. ქერათმიანმა ბიჭმა საიგანაც მომცრო მაგილა მოიტანა და ზენტექს წინ დაუდგა. ანას მაშინვე შემოხვევი „ოქროს შროშანას“ ინსტრუქტორები. სანამ ის პატარა მაგილასთან მოთავსდებოდა, გორგი კიქნავებ დარბაზის ცენტრში დარჩენილ გოგო-ბიჭებს გადახედა.

— თქვენ არ გინდათ „სპარტაუში“ გაერთიანდეთ?

— რასაკირველია. გვინდა. მაგრა... — დაიძახ ერთმა გოგონამ.

— მაგრავ აა, აა გრძლით ხელს? იუთხა ბარსეგოვაძე.

— მშობლებს ხომ უნდა ვკითხოთ,

გამოგვიშებენ? — თქვა ისევ იმ გოვონამ.

— ჩეენი კოლექტივი მუშათა კლუბი შექმნა, შეფობას გვიწევენ უეპონ მუშები. პოლა, თქვენც თუ მუშათა ელასის შეილები ხართ, ჩეეწერეთ. „სპარტაუ“ სწორედ თქვენი მარგანიზაცია. მოდით. ნუ გრძევენიათ. ჩეეწერეთ. — თქვა ბარსეგოვაძე.

მმ გოგო-ბიჭებს რამდენ-მე სააუტო გამოიყო. მალე მათ სხვებიც შეუტერდნენ და ანა ზენტექს სქელი უვეულში გაჩნდა ჩეენი რესპუბლიკის პარტელ პიონერთა (სპარტაკილთა) გვარი და სახელება

უენა მიქაიეგ რომ მა პეტოს დუქნის წინ ქუჩა გადონქრა. სულ ახლახან ჩათვლემილა მეღუქნებ თვალი გააჭირა. ქუჩაში ანცად მომავალ გოგონას ცერად გამოხედა უა თავი უმინდოდ ზარჩენილ ფანჯაოში გამოყო. უენია გაუსწონდა უა მა პეტომაც შეგნიდან დაჭუქიერა:

— გოგონა. ერთი აქეთ ვეპ შემოხედა?

უენიამ თავი გაიქნია. ნაწინვები მხაზე მოიგდო და დუქანში თამამად შევიდა.

მწინილი არ გინდა? ალე. ქიშმიში გევარება. ალე!

— აა, მა პეტო, ალც მწინილი მონდა და ალც ქიშმიში. აშისთვის მეახდიოთ?

— აა, შეიღო. აშისთვის კი აა. ერთი ეს მოხარი, ქაჭან, ის ცინგლა-ანი კირთხები მართლა დაიფრინეს?

რასაც ეათხებოდა მეღუქნებ. ეპინა ყველაფერი კარგად გაიგო, მაგრამ თავი მოიკატუნა. ერთომ შენი ქარაგმისა არაფერაც არ მესმისო.

— ვინა, ვისზე მეცითხებით, ძია პეტო?

შენცა ანგლობ, რალა. როვორ ვერ გაიგო. შე ეშვების ფეხო. აა, მია-თხე ვიახი, „ნაციურსულები“ მეცითო. „ოქროს შროშანაო“, „ყველელი ვირთხაო“, „ნიკრისიფერი ბუზოა“. აა, რაღაცებს რომ ერახდენ თავისთ თავს და ქვეყანას აქცევდნენ. — ჩაიხითხათა ძია პეტომ.

„ყველელი ვირთხა“ და „ნიკრის-ფერი ბუზი“ თავად გამოაცხო იმ წუთში ძია პეტომ. სკაუტების ასეთი რაზმები იმჯრინდელ თბილისში არ ასებობდნა. მავრამ მეღუქნებს თავისი პარაზი ანგარიშები პეტონდა სტაუტებთან და ღვარძლობანად იოხენგა. თანცაც თვითონ მოელი ათი წუთი ჩაბურღადა და სიცილისაგან იგულებოდა. შერე, როდის-როდის სული რომ მოიწევა. უენის ისევ დაუფარებით შეხდა.

— ასე არ არა? დაიმოინეს, ხომა?

თქვი რალა. ამოლერლე და გული გამოხარე და სულიც. თქვი რალა, კა-ხან!

უენიამ გაიცინა.

— დავითერინეთ, რა პეტო. თანაც მალიან მაგრად დავითერინეთ.

— აგრე თქვი რალა. გულმუცელი გამითბა. ის ცანგლიანი ვირთხები... მთელი დუქანი გადამიბრუნეს. მერე გობები... რა გობები, თოთოეული თუმანი რამდენიმდებარებია. მოდით. ნუ გრძევენიათ. ჩეეწერეთ. — თქვა ბარსეგოვაძე.

სწორედ ამ დროს დუქანში რა პეტოს საბოლაო ბიჭი ავთო შემოვიდა. თორმეტიონდე წლისა იქნებოდა. შემოვიდა და ზედ კართან დადგა. უენიას ცნობისმოყვარედ ახედა. — თა პეტო, სინა ერ დაიფონინეთ და... ჩეენ ახალი ორგანიზაცია შევქმნით. „სპარტაუი“ პეტოა.

შედუქნებს სახე დაემანქა, უენიას ცეკით გამოხედა.

— რაო, რაო, ეგ სპარტაუ კინლაა. რისი მაქნებარი, ვინ ახერია? ჰა, თქვი რალა!

— სპარტაუ კი აა. „სპარტაუი“ ცა ბაეშეთა ახალი ორგანიზაციაა. აა, თქვენ შეილებიც უნდა ჩეეწეროთ „სპარტაუში“. აეთო, ხომ გინდა, რომ კენთან იყო?

მეღუქნებ უამტა ჩამოხტა ტაბუ-უტოზანან. დანალიდან გამობაჭბაგლა.

— რაო, რაო, გინდა და დუქანში თამამად შევიდა. მაშინ შეიმზიში გევარება. ალე!

— აა, მა პეტო, ალც მწინილი მონდა და ალც ქიშმიში. აშისთვის მეახდიოთ?

— აა, შეიღო. აშისთვის კი აა. ერთი ეს მოხარი, ქაჭან, ის ცინგლა-ანი კირთხები მართლა დაიფრინეს?

რასაც ეათხებოდა მეღუქნებ. ეპინა ყველაფერი კარგად გაიგო, მაგრამ თავი მოიკატუნა. ერთომ შენი ქარაგმისა არაფერაც არ მესმისო.

— ვინა, ვისზე მეცითხებით, ძია პეტო?

შენცა ანგლობ, რალა. როვორ ვერ გაიგო. შე ეშვების ფეხო. აა, მია-თხე ვიახი, „ნაციურსულები“ მეცითო.

— მამა გიცხონდა, სულ მაგაზე უკერიობს ჩემი ბიჭი განა. მაგრას საქმე და დანალი და ფულია. ის რალაც სპარტაუა კი თქვენ ახალეთ თავში!

მიშა ბიჭიკაშვილს კოჭი ალჩუზე დაუჭდა. სპარტაუს სარეკლამო აფრიშებისა და მოწოდებების დახატვა მაშინ სავალი და დაუცველებს. საქმე ის არის, რომ მიშას ხატვა ძლიერ უკვარდა. უკარგა არ გაიდანოდა. სულ ლევან და გამოვიდეს. დაიკავება! აბა, მოუსვეი!

უენია ქუჩაში გავიდა. ერთ წუთს დუქნებს წინ დადგა. მერე ნაწინვები სუვე უან გადაიყარა და მეღუქნებს დაუკავა:

— მოიცათ, ძია პეტო, ცოტა კიდევ მოითმინეთ და თქვენი აეთო ჩეენთან თავისი ფეხით მოვა.

— მამა გიცხონდა, სულ მაგაზე უკერიობს ჩემი ბიჭი განა. მაგრას საქმე და დანალი და ფულია. ის რალაც სპარტაუა კი თქვენ ახალეთ თავში!

ზოდა ძის სიკოს გამურული კალათე-  
ზიდან მისი დათრევა. ამიტომ ჯიბეე-  
ბი ყველთვის ნახშირით პერნა  
უასევილია. ზოგჯერ საქმეში გარ-  
ოულ მაშიას სახლის პატრონი წასწ-  
რებდა ხოლმე, ბეჭებში ხელებს ჩა-  
ვლებდა და მთელ მის შემოქმედე-  
ბას ცხვირით მოაწმენდინებდა. ასეთი  
რამ აშენათა ადგებოდა. რაღანაც  
შემა კედლის მოხატვის დროს დიდ  
ცეფრთხილეს აჩენდა. მაგრამ ვაინც  
რდებოდა... რას იჩამ, დუნიაზე მონ-  
ძის მჯობნს რა გამოლუკება!..

ზოდა, სარეკლამო აფიშების მომ-  
ხადება სწორებ მიშა ბიჭი-კაშვილს  
უავალეს და არა სხვას. ამდენი თეო-  
ზი ქალალზი მიშას არასოდეს უნახა.  
სქელი, თეთრი ქალალის მორგვები  
ძუშათა კლუბში რომ შეათრა. ული  
მოითქვა, გრძელ მაგიდაზე გაშალა.  
უთხეებში რომ არ აკეცილიყო. მძიმე  
კვები ზაულაგა და საქმეს შეუდგა.  
რომ ზღვე გულმოდგინებ მუშაობდა.  
თხუთმეტი სარეკლამო აფიშა მზად  
აყო. ზოგზე საყვირანი ბიჭი ეხატა,  
ზოგზე მედოლე, ზოგზე სულაც ათა-  
ფერი, მარტო ლოზუნგები: „სპარტა-  
კულო, შენ ახალი ცხოვრების მშენე-  
ბელი ხარ!“ ანდა კიდევ: „სპარტაკი“  
იწყებს სიცოცხლეს. ფართო გზა მო-  
მავალ თაობას!“ ლოზუნგების შეს-  
ენაზე მთელი შტაბი მუშაობდა. ათ-  
ასერ აწონილნენ, დაწონილნენ და  
მხოლოდ ამის შემდეგ მოდიოდნენ  
მხატვართან. მერე ეს სარეკლამო  
აფიშები ბიჭებმა დაითორის და იმ  
უბანს მოედნენ — უკელაზე თვალ-  
საჩინო ადგილებზე გამოაკრეს.

კოლექტურას პრეველი შეკრება დად  
ზეიმად ექცა. მუშათა კლუბს სპარტა-  
კულების გარზა სხვაც უამრავი მოაწყ-  
და. დარბაზის საგორծეზე კედლების  
გასწრულებულობის პრდაპირ და-  
მოწყობის პატრული (რგოლი), სამი  
გოვონებისა, სამიც — ბიჭების.

გოგონების პატრულებს სათავეში ანა  
ზენტერი უდგა. მათ პირდაპირ იდგ-  
ენ გორგი კაკნე, ანდრო ბარსე-  
გოვი, გორგი ეგნატაშვილი, ვასო  
ბაგიშვილი, საშა შმილოვი და სხვე-  
ბი. უცებ დარბაზში საყვირის საზე-  
ზო ხმა გაისმა. მას დოლის გაბმული  
ბუბუნი აჟყა. მერე ვაშას შეძახილმა  
ტალასაცით გადაიარა და მაშინვე  
სამარისებული სიჩქმე ჩამოწვა. ვაუე-  
ბის მწყობრს ერთი გამხდარი ახალ-  
ვაზრდა გამოეყო. ცხვირის კეხშე  
ცერტელისფერი სათვალე გაისწორა  
და სახელზახელო ტრიბუნასთან  
ზადგა.

— სპარტაკულებო, გილოცავთ და-

ბაზების ღლეს! ღლეს სათავე გაეჭრა  
ზიღ მოძრაობას საქართველოს ბავ-  
შეთა ცხოვრებაში. თქვენს წინაშე  
სერიოზული ამოცანებია. ეკვი არ  
გვეპარება, რომ ჩვენი იმდე და მო-  
მავალი — ბავშვები თავს გაართმე-  
ვენ ამ ამოცანებს.

გვამხდარი კაცი ლაპარაკობდა დი-  
ლი პათოსითა და შთაგონებით. მისი  
ხმა სასიამოვნო ულერდა და ყველას  
გულში სითბო და ჩრდილენა მიქვინდა.

მის შემდეგ სხვებმაც ალაპარაკეს. სპარტაკულები მთელი ყურადღებით  
უსმენდგენ უფროსებს და ემზადებო-  
ზნენ დაზი საქმეებს სტარტისაცვას.

მინაწერი: უენია მიქაე არხეინად  
მობიჯებდა. ერთბაშად წინ ერთი  
ჩაპურეცუნებული ბიჭი დაუდგა და  
ქვემოდან დაბლვერით ახელა.

— შენა ხარ. ავთო? აქ რას აკე-  
თებ?

— შენ გალოდებოდა.

— მე?! — გაიკვირვა უენიამ. — მე  
რასთვის მელოდები. რაშია საქმე?

— ჩვენც გვნდა თქვენთან ჩავე-  
შერთ.

უენიამ გაილიმა. მერე დოინჯი შე-  
მოწყობის ბიჭი აათვალიერ-ჩაათვა-  
ლიერა. — მცენ მაშაშენი?

— მამაჩემს არ უნდა გვაძლევა  
ნოთ. ჩვენ ყველის გვინდა ჩავეწეროთ  
„სპარტაკულები“, მეც. ჩემს დასა და მე-  
ბსაც, ბიძაშვილებსაც. უარს წუ გვი-  
ტყვით, რასაც დაგვავალებთ, ყველა-  
ფერს შევასრულებთ.

— პორ?

— რასაკვირველია! სიტყვა სიტ-  
ყვაა.

უენია გასწორდა, სერიოზული სახე  
მიიღო.

— ასეც ვიცოდი.

— რა იცოდი? — ჰკითხა ბეჭმა.

— ვიცოდი, რომ ბოლოს და ბო-  
ლოს ჩვენთან მოხვიდოდით.

— ახლა რა ვქნათ? — ბიჭი გამომ-  
ცულებულ მსახურებოდა უენიას და გა-  
ნახებს მოუმოქნეად ელადა.

— რა უნდა ვქნათ. უნდა მიგი-  
ღოთ, ამა ხელს ხმო არ გრძავთ.

— ყველას მიგვიღებთ?

— მეტი რა გზაა, ყველა უნდა მ-  
ბალოთ.

ავთოს სახე გაეხსნა, უენის კეთი-  
ლი ღიმილით ახედა.

— აბა, წავალ ახლა და ჩვენებს  
ვიტყვი. მელოდებიან.


— წავალ, აღამის კლუბში მოდით.  
ჩვენი კლუბი ხმო იცა, სადაცაა?

— ვიცა, არხეინად იყავი. — სიც-  
ლით თქვეა ავთომ, მერე ხელები დაი-  
ორისქლა. მუჭად შეერა და ქუჩა სირ-  
ბალით გადაჭრა.

უენია ერთსანს კიდევ იღვა ქუჩაში.  
უონგი შემოწყობ, თვალები ოდნავ  
მოეციტა და სახეგაბადრული მისჩე-  
რებოდა. თუ როგორ უპიროდა ქუჩა-  
ში ჩმრგვალებული ბიჭი.

შუაფლე იყო. გვიანი შემოდგომის  
უღიძენ მშე თავზე აღვა ქალაქს და  
ახელი ღრუბლების ზეწრილან ჭრა-  
ჭრივათ ბუტავდა.

საქართველოს პიონერია სტარტზე  
დგებოდა.




# ზოგან ეპიდემია და განაცხადი... უნარი ასოფლიო...

შ ა ღ ვ ა ფ რ ა ჩ ხ ხ ი ძ ა

აენთებიან მზის ფერები ცისფერ ეკრანზე  
და ლურჯ ბურუსში ცურავს მსოფლიო...  
მინა ჩურჩულებს ჩიტის ენაზე  
და ჩიტის ენა იცის სოფიომ!  
იცის, — უდაბნოს ყვითელი სილით  
თველემენ ქვესკნელში ჩაძირული აზისები,  
იქ არც კაცის ხმა.  
და არც ქარის სტვენა არ ისმის;  
იქ უმოძრაოდ  
თაცრისფერი წვანან ნისლები...  
იცის, — ზაფხულში იფოთლება  
ცა უხვი ფერით,  
იცის, — ზამთარში რომ აკლიათ  
ჩიტებს საკენკი.  
იცის, — სამყარო  
რა იდუმალ ენაზეც მღერის,  
როცა ბზის დამწვარ რტოებს სუნი  
ასდის საკმევლის...  
იცის, — ჯუნგლებში საშიშარი ნადირი დაძრნის,  
იცის, — მარტორქას  
საშინელი რომ აღრჩობს გველი.  
იცის. — უნაზეს მთის ყვავილებს მანანა აწვიმს,  
იცის, —  
უკუღმართს  
უკუღმართად  
დალუპვა ელის...  
მაგრამ არ იცის. —  
საფანტს რატომ აყრიან ბავშვებს;  
არ იცის, —  
ბუდეს რად უნგრევენ პატარა ჩიტებს;  
არ იცის, —  
სარჩოს რად ართმევენ დამშეულ ბავშვებს,  
რომელთა ცრემლებს  
ჭრდაბალი ქოხი ვერ იტევს...  
არ იცის, — ტყვიას რატომ ესვრიან  
თავისუფლებას და ძლიერ ლომებს,  
ან წითელ დროშებს  
თავს რად ესხმიან,  
მწვანე ბალაბის სინათლეს გმობენ.  
არ იცის, —  
ჭვარტლის სუნი სიდან მოაქვს  
ცხელ ქარებს,  
ან რად არბევნ  
მშვიდ ქალაქებს და კეთილ სოფლებს,  
და მსხვილ თვალებზე  
პანაწინა ხელებს იფარებს,  
როცა ქუჩაში დემონსტრანტებს უშენენ თოფებს.  
ტირის შემერთალი და მუხლებზე ეხვევა დედას,  
არ უნდა ნახოს,  
როგორ კვდება თოვლში დაჭრილი...  
და მის თვალებზე უნაზესი დაცურავს სევდა, —  
ცისფერ ეკრანზე  
ცეცხლით დადის მმის აჩრდილი!..  
ცისფერ ეკრანზე ლურჯი ზღვებით. მწვანე ბალაბით,  
ხელისგულოვით მოჩანს მსოფლიო!

ვის აქვს უფლება კაცის სისხლით  
ზილოს ტალახი  
და არაფერი ჰყითხოს სოფიოს?!  
ეხვევა დედას თბილ მუხლებზე  
და სახეს მალავს,  
რომ არ უყუროს,  
როგორ არბევს ხალხს ომის ცეცხლი.  
როგორ ედება თოვლის კვამლი  
დამღუპველ რკალად  
ლამაზ ყვავილებს  
ულმობელი მტარვალის ხელით...  
ტირის და მისი ნაზი ხმის ექო,  
ვგრძნობ, გრიგალივით ედება ხმელეთს.  
და ვფიქრობ ჩემთვის,  
ნუთუ ისევ არესი მეფობს  
და უბადრუკი სისხლით იბანს  
სისხლიან ხელებს.  
არა, არ არის მეორე ძალა,  
დასძლიოს ძალა კეთილი ხალხის,  
ბავშვებს და ჩიტებს  
ცაში ფრენას ვინ აუკრძალავს.  
თავისუფლების მტკიცეა სახლი!  
ვის აქვს უფლება,  
არ უსმინოს ახლა სოფიოს,  
მილიარდობით მის მხარეზე დგანან ბავშვები,  
ბავშვების ბედზე გონიერი ფიქრობს მსოფლიო.  
ნუ ემუქრებით  
ბავშვებს ცეცხლით, ნურჯა დამშევით...  
დაუშვით ფსკერზე შხამით სავსე კრეისერები,  
ბავშვებს არ უყვართ ძაძა და თალხი.  
მწვანილოვანი  
რომ ამკობდეს ხმელეთს სერები.  
მაღალ სერებზე სათნოების აღმართეთ სახლი.  
ცოდვაა,  
ბავშვებს დაუშინოთ წყალბადის ბობი,  
ცოდვაა,  
მინდვრად დაუკარგოთ ჩიტებს საკენკი,  
ცოდვაა.  
კაცის და მადლის გმობით  
გასწიროთ მინა,  
ბავშვის წმინდა ტერფით ნაჯევნი...  
ცოდვაა, ქვებზე შემოქმედის ცრემლით ნატვიფრი,  
ზღვებმა წალეკოს ვაზის ფოთლის ორნამენტები,  
მშვენიერებას აღარ ქმნიდეს ხელი ნატიფი  
დიდ ქალაქებში არ დაფრინდეს გუნდი მტრედების.  
დაუშვით ფსკერზე დენთით სავსე კრეისერები!  
ვის აქვს უფლება.  
არ უსმინოს გულისთქმას ხალხის,  
მწვანილოვანი რომ ამკობდეს ხმელეთს სერები,  
მაღალ სერებზე ერთა ძმობის აღმართეთ სახლი.

ცისფერ ეკრანზე უსასრულო მოჩანს მსოფლიო.  
ცისფერ ეკრანზე უთვალავი მღერის ფერები,  
ცისფერ ეკრანზე ყოველივეს ხედავს სოფიო.  
გვერდით ვუზივარ, ვკოცი ხშირად და ვეცერები...



# მეცნიერებები ჩატარები

ნორი პალიანი

ყოფილხართ როდისმე ზოოპარკში? ჩაგიხედავთ დიდი, ყვითელი ლომის ნაღვლიან თვალებში? შეგიგრძნიათ მისი თავისუფლების მოტრფიალე, უცნაური სული? და, საერთოდაც: იცით, როგორ გამოხატავს სიხარულსა და ჭმუნვას, თავგანწირვასა და შვილისადმი სიყვარულს თოთოეული სულიერი?

მაგრამ ეს ყველაფერი რომ შეიგრძნო, მარტო ცხოველების სიყვარული არ კმარა, უნდა კიდიც გისმოდეს მათი, უნდა ერკვევოდე მათი ნასიათის, მათი ბუნების თავისებურებში. უნდა იყო კარგი ზოოლოგი და, უპირველეს ყოვლისა, ძალიან კარგი ადამიანი.

